ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41241802**
თარიღი:**28/06/2024**

2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

2024 წლის 03 ივნისს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის №002724/18 წერილით, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა ,,2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის ანგარიში, რომელიც განხილულ იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით და შესაბამისად, კომისიის დასკვნის საფუძველზე მიზანშეწონილია საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული დოკუმენტის განხილვა. ამასთანავე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილული იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, შემდგომში ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 113-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიღებულ იქნეს ცნობად 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სახელმწიფო აუდიტის სამსახურს; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობისთ დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: სენაკის, რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი